



იმისთანა წმინდა საძმეში, ბდგბიტ ბქე-  
უბი სიფყაა, ფყუილებით და ჭბბბბით ბუბ-  
თის გაფანა ყულა უჯბბბბბბბუ უსბბბბბბბ.

გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რეპრესიები

ოთხშაბათი, 26 იანვარი, 2022 წ. №15 (9353) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

## რუსეთის შიშით – SOS! უკრაინას და საქართველოს ნატოში არავინ მიიღებს!

### სოსო განჯავიძე: რვის ალბათობა კლიან მხიკაა, ვინაიდან ორივე მხარეს შეუძლია გაანადგურონ ერთმანეთი!

### უკრაინელები ნატოს „ღია კარს“ ამბობენ!

უკრაინის უმაღლესი რადა მოითხოვს, რომ უკრაინის ნატოში გაწევრების კონკრეტული ვადები განისაზღვროს. ამის შესახებ ნათქვამია განცხადებაში, რომლითაც უკრაინის საკანონმდებლო ორგანოს წევრებმა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა ქვეყნების პარლამენტებს მიმართეს.

„უმაღლესი რადა მიმართავს გაეროს, ევროპარლამენტს, სხვა ქვეყნების მთავრობებს და პარლამენტებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების სამარლამენტო ასამბლეებს, მხარი დაუჭირონ უკრაინის ევროპული პერსპექტივის აღიარებას და ქვეყნის ნატოში გაწევრების კონკრეტული ვადებისა და მოდელის განსაზღვრას“, – ნათქვამია განცხადებაში.



## რეპრესიები აფხაზეთში

მოსკოვს, რომელიც თავს უკვე აფხაზეთის ფულგებლად თვლის, ანექსიურ გზაზე წინააღმდეგობა არ სჩირდება, ამდენად, ღანარჩენ სამყაროსთან აფხაზეთის ურთიერთკავშირის ყველა სხვა წყარო უნდა აღმოფხვრას.



### გლობალისტები ნელ-ნელა ყლავავენ საქართველოს!

## როგორ ავიცილოთ ფართოდასუბაბიანი სისხლისღვრა?

საბარტოველს დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით გუშინ ბრიუსელში გაემგზავრება. შეხვედრები ნატოს უმაღლეს წარმომადგენლებთან გაიმართება. მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ ძირითადი საკითხი რუსეთის მიერ უკრაინაზე განხორციელებული აგრესია და რეგიონში მიმდინარე პროცესები იქნება.



## თამთა მებრკალიშვილი: უხედავთ, ჯალათებო, ღღას კანონი კანონობს!

...სისტემური დანაშაულის ჩამდენი პირებით დაკომპლექტებული ოპოზიციის მხრიდან სამართალდამცავი პირის მიერ უშუალოდ განხორციელებულ ძალადობაზე გულზე მჯილის ცემა მხოლოდ პოლიტიკური სარკაზმია, რადგან თქვენც ძალიან კარგად იცით, რომ ერთი და ორი ადამიანი არ არის ქართული პოლიცია. იმასაც ხედავთ, რომ 2012 წლის შემდეგ ქართული პოლიციის სახესულ სხვაგვარია. დღეს ქართული პოლიციის რიგითი პოლიციელები გმირია და ქართული პოლიცია კანონთან ერთად სინდისზე და ადამიანობაზე დგას თქვენი ჯალათობრივი სისტემისაგან განსხვავებით, სადაც ჩვენ რიგითი მოქალაქეები თავს ვიცავდით დამცველთაგან ანუ პოლიციისაგან და სადაც დანაშაულის ჩამდენი პირს აწინაურებდით და პრემიებს ურიცხვავდით, დღეს კანონი კანონობს და ხედავთ, რომ ორივე მოძალადე დაკავებულია. ისინი კანონის წინაშე სრულად აგებენ პასუხს და მიიღებენ მაქსიმალურ სასჯელს. მორჩით, ზედმეტ სპეკულაციებს ვითომ და მართლა გაღელვებთ რამე. სირცხვილია.



## რა ღირს კარდიოგენილის აბი? ნებით?! ნებით?!

## დიდი ბრიტანეთის პრემიერს დაბაღების ღღე ჩაამნარეს!

ლოკდაუნის პერიოდში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში გამართულ წვეულებებთან დაკავშირებით პოლიციამ გამოძიება დაიწყო. როგორც სამართალდამცავ ორგანოში განაცხადეს, პოლიცია შეისწავლის „კოვიდ-რეგულაციების ყველა პოტენციურ დარღვევას“, რომელიც პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში ბოლო 2 წლის განმავლობაში მოხდა.

ადამიანის შეკრება დახურულ სივრცეში აკრძალული იყო. ჯონსონის დაბადების დღის წვეულებაზე 30 ადამიანი იყო მისული, მათ შორის იყვნენ ჯონსონის ოჯახის წევრები და მეგობრებიც. ამასთან, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ოფისის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თანამშრომლები მართლაც შეიკრიბნენ ჯონსონის ოთახში, თუმცა ეს „მცირეწიანი შეკრება იყო, რათა პრემიერ-მინისტრისთვის დაბადების დღე მიელოცათ“. აგორებული სკანდალის გამო, დიდი ბრიტანეთის „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა ბორის ჯონსონს გადადგომის კენ მოუწოდა.



# გუბაზ სანიკიძე: წულების პარადია, ჩემ თავსაც ვგულსხმოვ!

„წულების გადასაცემლობით, წულების პარადია... ჩემ თავსაც ვგულსხმოვ, ვინმეს კი ნუ ეწყინება“, – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ „TV პირველის“ ეთერში, „რეაქციონარი“ სტუმრობისას.



კითხვაზე, მიიჩნევს თუ არა სანიკიძე დღევანდელ ოპოზიციას „ზეროდ“ (წულად), სანიკიძე პასუხობს:

„რა თქმა უნდა, აბა რა ვილაღ – მეტი დროებით, ვილაღ – ნაკლებით. ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის მიმართ ნდობის ძალიან დაბალი ხარისხი მაქვს – ზოგთან, შედარებით ნაკლები, მაგრამ ზოგთან საერთოდ განუღებელი მაქვს ნდობის საკითხი, რადგან დანამდვილებით ვიცი, ძალიან ბევრი თანამშრომლობს ხელისუფლებასთან. ერთ კაცში ვარ ბოლომდე, 100%-ით დარწმუნებული, რომელიც ამ ხელისუფლებასთან არ არის შეკრული – ეს არის მისხელ სააკაშვილი და თავს მის თანამებრძოლად მივიჩნევ“, – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ

რატომ ღაბავიწყად კმირფასო გუბაზ, რომ ყველაგე დიდი წული შენი იმედი ღა უკანასკნელი თანამებრძოლი, შემოილი პატიმარი სააკაშვილია? მის აბყუბა, შე უბედრო!

## შემ პირზე კალაძის საქმეზე ბრალი ედება ორ პოლიციელს

2022 წლის 24 იანვარს, მადიასაშუალებებით გავრცელებულ ვიდეორჩანაწერზე აღვჩამოვიკადავებო კალაძის ფაქტზე დაკავებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომელი, – ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ავრცელებს.

„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2022 წლის 24 იანვარს, მადიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება.

ამ ეტაპზე ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებით დადგინდა შემდეგი: 2022 წლის 23 იანვარს, საღამოს საათებში, დაახლოებით 20:00 საათიდან 21:00 საათამდე დროის მონაკვეთში, 17 წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანი, ძმასთან და მგობრებთან ერთად იმყოფებოდა მეტროს სადგურ „ისანში“. მეტროს ესკალატორთან მყოფმა პატრულ-ინსპექტორმა კ.ბ.-მ არასრულწლოვანი ესკალატორით აიყვანა მეტროს ფოიეში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის განკუთვნილ ოთახში. აღნიშნულ ოთახში მყოფმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთმა თანამშრომელმა არასრულწლოვანს რამდენჯერმე დაარტყა მუშტი თავის არეში და მოქაჩა თმაში. მიუხედავად არასრულწლოვანის მინიშნებისა, რომ იგი იყო სმენადაქვეითებული და არ ესმოდა საუბარი, პოლიციის თანამშრომელი აგრძელებდა გამეტებით მის ცემას. ძალადობის ფაქტს შეესწრნენ არასრულწლოვანის თანხლები პირებიც.



აღნიშნული ქმედებით არასრულწლოვანმა მიიღო დაზიანებები თავისა და სახის არეში, განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი და თავი იგრძნო დამცირებულად. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მეორე თანამშრომელი, რომელიც შეესწრო მისი კოლეგის მხრიდან არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტს, არ შეატყობინა აღნიშნულის შესახებ საგამოძიებო ორგანოს – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ძალადობის განმასრუციებელი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მეტროპოლიტიკის სამმართველოს მე-3 ოცეულის პატრულ-ინსპექტორი ნ.ბ. დაკავებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით, რაც გულისხმობს დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას ჩადენილს მოხელის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანსა და სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირის მიმართ; ხოლო, ფაქტის შემსწრე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მეორე თანამშრომელი, მეტროპოლიტიკის სამმართველოს მე-3 ოცეულის პატრულ-ინსპექტორი კ.ბ. დაკავებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალდებით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.

მოვუწოდებთ საზოგადოების თითოეულ წევრს, მათ შორის ყურნაღისტებს, ვინაიდან საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილ დანაშაულს, გთხოვთ, საკითხის გაშუქებას და ამ ფაქტზე აზრის გამოთქმას, მოგვევიდოთ განსაკუთრებული სიფრთხილით.“

# გლობალისტები ნელ-ნელა ყლაკავენ საქართველოს!

## რატომ ემსახურება „სულის ძველანა“ პუბლიკის რუსეთს?

მეზა აფხაზეთში, რომელსაც ოდესღაც პოეტურად „სულის ქვეყანა“ უწოდეს, დიდი ხანია, აღარაა პოეტური. ხოლო ვითარებას, რომელიც იქ ბოლო დროს ყალიბდება, ძნელად თუ შეუძრე თუნდაც პროზაულ სახელს ისე, რომ არავის აწყენინო. პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, ენერგეტიკული პრობლემები, რომლებსაც ბოლო დროს ებიძევილოლოგიურად შევმატა, ფაქტობრივად ქამენ იმ რეალობას, რომლის გამოც აფხაზეთს ოდესღაც „სულის ქვეყანა“ შეარქვეს. ვერალოდულ პოლიტიკურ ბატალიებს, ისევე, როგორც მმართველი ძალების შემდგომ ცვლას ჯერ არასდროს მოუტანია სიკეთე ხალხისთვის, რომელიც უკვე ორ ათწლეულზე მეტია, თვალს ადევნებს, როგორ ცდილობს მორიგი ოპოზიცია მორიგი მმართველი ძალის შეცვლას, რათა მიზნის მიღწევის შემდეგ ხალხი ზუსტად ისევე დაივიწყოს. ქვეყნის ამ მოდელს, რომელსაც სრულად იცავენ ამჟამინდელი პოლიტიკური მხარეებიც, მოსახლეობა უკვე შეერყია. მაგრამ ბოლო დროის ზოგიერთი პროცესი, რომელიც უკვე მონათლეს რეპრესიებად, აფხაზეთისთვის მოულოდნელობად იქცა.

მინების“ მსგავს მეთოდებს აფხაზეთში ამ დრომდე ნამდვილად არ იყენებდნენ. „თავის დროზე ჩვენც არაერთხელ გვექონია საქმე მსგავს სიტუაციებთან, შტურმებთან, არეულობებთან, ავტორიტარული მეთოდებისგან ყოველთვის გვაკავებდა ბევრი რამ: სიტუაციის კიდევ მეტად დაძაბვისა და ეროვნებათაშორის თუ გვართაშორის კონფლიქტამდე მიყვანის, ასევე საპოლიციო რეჟიმად ქვეყნის შიში“, – აცხადებენ ოპოზიციის წევრები.

საზოგადოებაში გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ყველაფერი არა იმდენად ძალაუფლების დაკარგვის შიშს, რამდენადაც სულ სხვა რამეს უკავშირდება – უფრო მასშტაბურსა და სახიფათოს:

ეჭვები გაამწვავა იმ გარემოებაშიც, რომ რეპრესიებად მონათლული პროცესების დაწყება დროში დაგეგმვა ჯერ – მოსკოვში, ხოლო შემდეგ უკვე თავად სოხუმშიც რუსეთ-ბელარუსის ენ. სამოკავშირეო სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლის „აუცილებლობის“ შესახებ საუბრების გააქტიურებას, ასევე რიგ სხვა პროცესებს, რომლებიც „სტრატეგიული მეგობრის“ მიერ აფხაზეთის შთანთქმაზე მიუთითებს. მმართველი გუნდი, თუ განცხადებით „მოგვიწვევს, სუვერენიტეტი რუსეთს გაუფრანკლოთ“ ვიმსჯელებთ, მოსკოვმა უკვე დაივიწყა, აი აფხაზურ საზოგადოებაში კი შთანთქმავ თანახმა ყველა როდია. მაშასადამე, დროა, დაიწყო მასების დემორალიზება უკმაყოფილოთა მხების აქტიური ჩასწოვით – რათა მსოფლიომ არ შეიტყოს, რომ რუსეთის ნაწილად ქვეყნა აფხაზეთის მოსახლეობის სრული უმრავლესობის დაუოკებელ სურვილს სულაც არ წარმოადგენდა.

მოსკოვს, რომელიც თავს უკვე აფხაზეთის გულგელად თვლის, ანეჩისურ გზაზე წინაღობები არ სჭირდება, ამდენად, დანარჩენ საზოგადოებრივ აფხაზეთის ურთიერთკავშირის ყველა სხვა წყარო უნდა აღმოფხვრას.



რეპრესიების დაწყება დროში დაგეგმვა აფხაზეთში „საკავშირეო უწყების“ ხელმძღვანელად კრემლის კადრის – ინალ არძინბას დანიშნვასაც. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად ადგილობრივი და საერთაშორისო NGO-ების წარმომადგენლები შეკრიბა, რათა მოეთხოვა მათთვის, ამიერიდან თითოეული ნაბიჯი მას შეუთანხმონ. მეტიც, საახალწლო დღეებმა ჩავლა ვერ მოახსნო – და არძინბამ განმეორებითი შესვდრა ჩასტარა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაზე საუბრისას ამჯერად ისეთი სიტუაციების გამოყენებით, როგორცაა „დაუშვებელია“, „მიუღებელია“, „უკანონოა“, „გვერძობაა“... და ეს სრულად ეწერება მოვლენათა ლოგიკის ერთიან სურათში: მოსკოვს, რომელიც თავს უკვე აფხაზეთის მფლობელად თვლის, ანექსიურ გზაზე წინაღობები არ სჭირდება, ამდენად, დანარჩენ სამყაროსთან აფხაზეთის ურთიერთკავშირის ყველა სხვა წყარო უნდა აღმოფხვრას.

იხ. 5 გვ.

# რამდენად სასარგებლოა დაუოკებინების კურსი?



„თუკი უკრაინაში ვითარება დაიძაბება და დაიწყება საომარი მომხდობები, რუსეთი ავტომატურად ჩვენს წინააღმდეგობა განახორციელებს ანალოგიურ ძვირფას. იმის ილუზია არაა არ უნდა კომუნდის, რომ საძირითველო თავს გადაირჩინოს და გამოქვინება“, – ასე შეაფასა ანალიტიკოსმა სამხედრო საკითხებში, მხატვან მამისაიამ რუსეთის მხრიდან უკრაინაში შესაძლო შეჭრის შესაძლებლობა და მისი შედეგები.

რუსეთ-უკრაინას შორის არსებული დაძაბული ვითარების ფონზე, საქართველოს ხელისუფლება თითქოს დუმილის პოლიტიკას ატარებს. ამ ეტაპზე, საქართველოს არ გაუშვლებია თავისი ოპოზიცია, რომელიც შესაძლოა უკრაინის მხარედაჭერი განცხადებდა ყოფილყო. რა არის ამის მიზეზი? – რამდენად სწორია ის პოზიცია, რომელიც დღეს ქართულ მხარეს უჭირავს უკრაინასთან





# ჯუნას ფენოზენი: მოსკოვი უკრაინა



## გლობალისტები ნელ-ნელა უკრაინა საქართველოს!

### რატომ ემსახურება „სულის ძეგლი“ უზინის რუსეთს?

**(მომრე ბერძენი)** საერთაშორისო ბის ნაცვლად, კრემლი და მისი ადგილობრივი კადრები აფხაზ ხალხს საკუთარ „NGO“-ებს სთავაზობენ. ამ უკანასკნელთა პროპაგანდისტული სოციალური აფხაზურ სექტორში უკვე აქტიურადაა დაკავებული უამრავი „ტროლი“, რომელიც ამავდროულად მოსკოვის სხვა სურვილებსაც ლობობს: „რუსეთის საკუთარი წარმომადგენელი უნდა შევადგინო აფხაზეთის მთავრობაში. ეს კრედიტების გამოყოფის აუცილებელი წინაპირობაა უნდა იქცეს. თანაც ეს აღარ უნდა იყოს უსასყიდლო ფინანსური დახმარება. ეს უნდა იყოს კრედიტების მიწოდება, რაც რუსეთის სჭირდება და ანგობს – სხვა შემთხვევაში მუდმივად ვალში ვიქნებით მის წინაშე. რუსეთის ინტერესთა სფეროში კი შედის, რაღა თქმა უნდა, ინფრასტრუქტურული ობიექტები: მორტიები, აეროდრომები, გზები, გენერაცია, კავშირგაბმულობა და სხვა. აფხაზეთი ვალდებულია ასევე, შექმნას პირობები რუსული NGO-ების მოქმედებისთვის. ეს ესება უპირველესად, NGO-ებს, რომლებიც იმუშავენ მედიასთან, საზოგადოებასთან, დამოუკიდებელ ბლოგერებთან. ამასთან, ეს NGO-ები ყოველმხრივ დატოვებული უნდა იყვნენ და გააუმჯობესონ ნებისმიერი ჯგუფისთვის სელ-შეუხებლად გამოცხადდნენ“. როგორც იტყვიან, უკომენტაროდ. და რას უქადის ეს ყველაფერი აფხაზეთს, ნათელია.

სიტყვისა და აზრის თავისუფლება, რომელიც გულსხმობს ინდივიდის უფლებებს, თავისუფლად ჩამოიყალიბოს უზინისა, დაიცავს იგი და ასევე თავისუფლად გამოხატოს, დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ნიშანია. მისი ფასეულობა იმითაა განპირობებული, რომ ეს თავისუფლება პიროვნების სხვა კონსტიტუციური უფლებების რეალიზების აუცილებელი პირობაა, უპირველესად – პოლიტიკურ სფეროში. ამასთან, თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში სიტყვისა და აზრის თავისუფლების ქეშმარიტი თავისუფლება მხოლოდ მედიაზე წვდომის პირობებშია შესაძლებელი – და ინტერნეტქეშმარილობის განვითარებასთან ერთად ამ უკანასკნელმა მძლავრი განვითარება პოვა. მაგრამ ამავდროულად პროგრესებს ამ თავისუფლების კონტროლის მცდელობებიც ცენზურის, წვდომის შეზღუდვის, რაც შემთხვევებში კი ძალისმიერი აქტების სახით მათ მიმართ, ვისი შესუფთვებებიც მმართველი რეჟიმების მიერ საფრთხის შემცველად აღიქმება.

სწორედ ამას ვადვინებთ თვალს თანამედროვე რუსეთში, ბელარუსსა და სხვა ქვეყნებში, რომლებმაც მოსკოვს მათზე საკუთარი გაგვინის გავრცელების შესაძლებლობა მისცეს. სიტყვისა და აზრის თავისუფლება რუსეთის კონსტიტუციის 29-ე მუხლით კვლავინდებურად არის დაცული, თუმცა ბოლო წლებში მიღებულმა არაერთმა დამატებამ და შესწორებამ, შეუძლებელი გახადა ამ თავისუფლების დაუსჯე-

ლად განხორციელება ნებისმიერი მედია-საშუალების, NGO-ს, პოლიტიკოსის, აქტივისტისა თუ გნებავთ, რიგითი მოქალაქის მიერ, რომელიც მმართველი ძალის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება. სახელმწიფო საათობრივად ამ ნაწილში კანონმდებლობა უკვე რამდენჯერმე გაამკაცრა. შედეგად ხელისუფლებისთვის დისკომფორტული ნებისმიერი ორგანიზაცია – NGO იქნება ეს თუ მედიასაშუალება, დღეს უკვე დაკანონებულ რეპრესიებს ექვემდებარება. მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზებული სამყაროში პუტინის რეჟიმის მსგავსი ქმედებები უკვე არავითარხანა დაგმო და მმართველ ძალას როგორც პოლიტიკური ოპონენტების, ისე უფლებადამცველებისა და ზოგადად განსხვავებული აზრის მქონეთა დევნის შეწყვეტისკენ მოუწოდებდა, რეპრესიები წარმატებით გრძელდება.

ასე, მაგალითად, გასული წლის მინუსული რუსეთში ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე ავტორიტეტული უფლებადამცველი ორგანიზაციის – საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალის“ დახურვით აღინიშნა, რომელიც მანამდე, სხვა უამრავი NGO-ს მსგავსად, „უცხოეთის აგენტად“ გამოცხადდა. ამასთან, Free Russia Foundation-ის ინფორმაციით, მხოლოდ 2021 წელს პოლიტიკური და სისხლის სამართლებრივი დევნის გამო რუსეთი 1,5 ათასზე მეტმა უზინისმა და აქტივისტმა დატოვა ოჯახებთან ერთად. პოლიტიკური ემიგრაციის ტალღა 2021-ის გაზაფხულზე აგორდა, როცა დაიწყო ზამთრის ოპოზიციური მიტინგების მონაწილეებთან ძალადობის „ვიზიტები“. მაშინ, პროექტ „ОВД-Инфо“-ს (ასევე „უცხოეთის აგენტადაა“ გამოცხადებული) მონაცემებით, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა 200-ზე მეტ მოქალაქეს დაევსრა, ზოგიერთ აქტივისტს კი – სისხლის სამართლებრივი, „მასობრივი არეულობების ორგანიზების“, „გზების გადაკეტივსა“ და „კორონავირუსული შეზღუდვების დარღვევის“ ბრალდებების საფუძველზე. გამოცემა „Коммунист“-ის გათვლით, ოპოზიციონერი ალექსეი ნავალნის საკოორდინაციო შტაბების (რუსეთში „ექსტრემისტული ორგანიზაციებად“ არიან გამოცხადებული) 38 ხელმძღვანელიდან თითქმის ნახევარმა ქვეყანა უკვე დატოვა და იგივეს გეგმავს დარჩენილი ნაწილიც. მთლიანობაში კი, ბოლო 20 წლის განმავლობაში რუსეთიდან უკვე 4-დან 5 მილიონამდე ადამიანი წასული და მათი 2/3 (64%) მიზნად „უსაფრთხოების გარანტიას“ ასახელებს. იმავე მიმართულებით, რომ აფხაზეთში, რომელიც უამრავი მიუხედავად, დამოკრატის თვალსაზრისით მინც ბევრად უსწრებად პუტინის რუსეთს, სპირიტუალური ბოლო პირობებში მდებარეობს პრეზიდენტის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა.

იმავე მიმართულებით, რომ აფხაზეთში, რომელიც უამრავი მიუხედავად, დამოკრატის თვალსაზრისით მინც ბევრად უსწრებად პუტინის რუსეთს, სპირიტუალური ბოლო პირობებში მდებარეობს პრეზიდენტის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა.

ყველაფერი ერთმანეთს, 1980 წლის 16 აგვისტოს შეიცვალა, როცა ავტორიტეტულ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ ჯუნა დავითაშვილისადმი მიძღვნილი სტატია დაიბეჭდა. იმის გამო, რომ აღნიშნულმა პუბლიკაციამ დიდი ზეგავლენა მოახდინა შემდგომ მოვლენებზე, შეერად ლევ კოლოდნის რამდენიმე მისი ფრაგმენტი მოჰყავს.

„ექიმბაშევისგან განსხვავებით, ჯუნა არ არის კონფლიქტში ოფიციალურ მედიცინასთან, პირიქით, მასთან სრულ შარმონიაშია: მას სამედიცინო სასწავლებელი აქვს დამთავრებული, ამიტომ რაღაც თითქმის გამოწვეულ ტერმინებს კი არა იყენებს, არამედ ყველა მედიკოსისთვის გასაგებ ენით ლაპარაკობს.

მუნებრივია, რომ ყუბანში დაბადებული პატარა გოგონა (იგი ამ მხარეში გადასახლებულ ასირიელთა ოჯახიდანაა), თავის თანატოლთა მსგავსად, დადიოდა რუსულ სკოლაში, უყვარდა ფიზიკა-მათემატიკა, კითხულობდა სამედიცინო ფანტასტიკას. ამასთანავე, მშობლები მას გარკვეულ უცნაურობებსაც ამჩნევდნენ: ყველა ყვავილის, ყველა ხის გარშემო იგი ნაირფერ ნათებას, შარავანდედს ხედავდა. მას არა მარტო ქაშის ფოთოლთა შრიალი, კიდეც სხვა ხმებიც ესმოდა. ადამიანების ირგვლივაც ამჩნევდა შარავანდედს, ხოლო როცა მეგობარი ხალხი იკრიბებოდა, ადამიანების ზევით პატარა ჯუნა ცისარტყვევლას ხედავდა. თუკი ჩვეულებრივი აპარატით ჯუნასთვის გადაღებულ ფოტოს შეხედავთ, დაინახავთ, რომ მისი ხელებიც შუქს ასხივებენ, ნათება თავს შემოთავს აქვს“.

...ჯუნა დავითაშვილის მეთოდით აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის თბილისის რკინიგზის კლინიკურ საავადმყოფოში ჩატარდა მრავალი ექსპერიმენტი სხვადასხვა დაავადებით სნეულ პაციენტთა ჯგუფებთან. იგივე დიაგნოზის მქონე სხვა პაციენტების მკურნალთა ჯუნას რჩევებს გარეშე მიმდინარეობდა.

„შედეგი გამოგნებელი იყო (დოკუმენტის სტილი დაცულია!), მაგრამ აზროვნების ინერცია, სკეპტიციზმი და ფსიქოლოგიური შარფი იმხანად მედიკოსებში იმდენად ძლიერი იყო, რომ მათ უარი თქვეს ჯუნას ჩარევით პაციენტთა მკურნალობის შედეგად მიღებული დადებითი შედეგების აღიარებაზე“.

ეს სტატია „კომსომოლსკაია პრავდას“ ცისფერ დარბაზში განიხილეს საგანგებოდ მიწვეულ ჯუნა დავითაშვილთან ერთად, რაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ხდებოდა. ამდენად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მისი ოცნების ახდენას ხელს ველარაფერი შეუშლიდა და ამიერიდან თავისუფლად შეძლებდა პაციენტებთან მუშაობას, მაგრამ...

27 აგვისტოს „ლიტერატურნაია გაზეთამ“ ჯუნა დავითაშვილის შესახებ თბილისიდან გამოგზავნილი, უზარმაზარი, ათასსტრიქონიანი წერილი გამოაქვეყნა, სადაც კიდევ სხვა ორი ექსტრასენსი – რომა კულეშოვა და ნინელ კულაგინა – ცრუ ფენომენებად იყენებდნენ შერაცხილები. ათასი სტრიქონის დაწერის მიზანი ერთი იყო: არანაირი ფენომენი არ არის, არსებობს მხოლოდ „მედიცინის მიტმასნილი მითი“.

სტატიის პერიპეტეზს გვერდი რომ ავეართ, ვიტყვიტ მხოლოდ, რომ მას კვალიფიკაციურ სამედიცინო დასკვნასთან საერთო არაფერი ჰქონდა, თანაც აკადემიური მედიცინის წარმომადგენლებმა ნებისმიერი ცდის ელემენტარული მოთხოვნები დაარღვიეს, უკულეშოვას განკურნების სრულიად სავარაუდოდ შედეგები!

ასე იყრებოდა წყალში ჯუნას მთელი გარჯა, მაგრამ იგი სულით მტკიცე, მძლიერუნარიანი და უინიანი პიროვნება იყო, რომელსაც სიმწიფეებთან შეჭიდებისა არ ეშინოდა.

მეგობრი თავგადასავლის შემდეგ, ჯუნას ფენომენის აღიარებაზე ოფიციალური მედიცინა კვლავ უარზე იყო, მაშინ, წერს ლევ კოლოდნი, გადაწყვეტიტე გოსპლანის (სამტოთა კავშირის საგეგმო კომიტეტი – რედ.) თავმჯდომარისთვის, ნ. მაიბაკოვისთვის მიმართა (სწორედ ამ უწყების პოლიკლინიკაში ჯუნა წარმატებით მუშაობდა, რის შესახებ ზემოთ გვექონდა ლაპარაკი. – რედ.).

– დამუშავდით, ექსპერიმენტებს ჩვენ შესაძლებლად მაღალ დონეზე ჩავატარებთ, – გვითხრა თავმჯდომარემ.

მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. მარჩუკმა კი მოთმინება, საჯარო გამოსვლებისგან თავის შეკავება და ცდების შედეგამდე მოცდა გვიჩინა.

სამართლიანობა მოითხოვს იმის თქმას, რომ პატარ-პატარა გამარჯვებები ჯუნას მიანიჭებოდა. იმავე „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა მცირე სარედაქციო სტატია



ჯუნა და რუსეთის მოგზავნილი პატრიარქი სირილი. 1981 წ.

ამერიკალი



„ქუთაისი“ - ხუთგზის!

ოლიმპიური ჩემპიონების - ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ტრადიციული მემორიალი მათ მშობლიურ ქალაქში გამართული ფინალით დაგვირგვინდა და „ქუთაისის“ მესამე გამარჯვებით დასრულდა - 93:78.

მართალია, შეხვედრის ანგარიში მასპინძელთა უპირატესობაზე მეტყველებს, მაგრამ ქების ღირსია სატიტულო ბრძოლაში კოტი ტუღუშის გუნდის მეტოქე „მეგაც“, რომელიც სუპერლიგის დებიუტანტია, მაგრამ გამოცდილ თავკაც ნიკო ჩერქეზიშვილის ხელი უკვე დაეცო და ნახევარფინალში შარშანდელი მემორიალის ფინალისტი „ვერა“ დაამარცხა.

რიონისპირეთა წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი ჯევილ ბოუიმ (22 ქულა), აკაკი დვალისვილიმა (18 ქულა), აგრეთვე ფლეჯერმა (16 ქულა) და კორსანტიამ (10 ქულა) შეიტანეს.

ოქაანის გაღვა

ჩვეულ ღონეზე

რაც უფრო ახლოვდება ნა-ს რეგულარული სეზონის ფინიში, მით უფრო უტოპიური ხდება „ინდიანასთვის“ პლეი-ოფში გასვლაზე ოცნება, არადა ამ გუნდს რომ

აღმოსავლეთ კონფერენციაში წამყვან პოზიციებზე დაბრუნება შეუძლია, კარგად გამოჩნდა თუნდაც განვლილ კვირაში სტუმრად „გოლდენ სტიტ უორიორზ-



თან“ მოპოვებული გამარჯვებით. გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო, ისეა რიკ კარლაილის შეგირდთა საქმე, რომლებსაც საკვანძო ვითარებაში სხვადასხვა მიზეზით, უმთავრესად - კორონავირუსით, რამდენიმე ლიდერი გამოაკლდათ, მათ შორის - საბონისი და უკვე კარგახანია - ტერნერი, მაგრამ ისიც ხომ ნათქვამია - ზოგიჭირი მარგებელიაო.

ჰოდა, აღმოსავლური ტურნეს უკვე ზედიზედ მესამე შეხვედრაში „ნიუ ორლეან პელიკანსთან“ გოგა ბითაძეს თამაშის სასტარტო ხუთეულში დაწყების საშუალება მიეცა და ქართველმა ლეგიონერმა ამჯერადაც ღირსეულად გაამართლა ნდობა.

სამწუხარო ისაა, რომ „პეისერზი“ ზედიზედ მეორედ დამარცხდა - 113:117, თორემ 22 წლის ჩვენებურის პირად მონაგარს არაფერი დაეწუნება: 22 წუთში 12 ქულა, 5 მოხსნა, 3 შედეგიანი გადაცემა (7-დან 4 ორქულიანი, 6-დან 4 საჯარიმო და 1 აცილებული სამქულიანი). მორიგ მატჩს „ინდიანა“ ხვალ შარლოტაში „შორნეტსთან“ გამართავს.

სუთი რგოლი

ჩინურ ტალღაზე



სამართაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეს-სამსახურის ცნობით, სპორტსმენებმა და გუნდის წევრებმა, რომლებმაც ზამთრის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე კორონავირუსი გადაიტანეს, პეკინში გაფრენამდე სუთი დღით ადრე ოთხი უარყოფითი პასუხის მქონე პისიარ ტესტი უნდა ჩააბარონ.

IOC-ის ცნობით, წესები იმისთვის გადაიხედა, რათა სპორტსმენებსა და გუნდის წევრებს, რომლებმაც კო-

რონავირუსი გადაიტანეს და რომელთა ადდენიტიმაც ვადამ შეიძლება გავლენა იქონიოს ჩინეთში გამგზავრებაზე, ყველა საჭირო საბუთის წარმოდგენა შეეძლოთ ჩინეთში გამგზავრებამდე მინიმუმ სუთი დღით ადრე. მათ ოთხი პისიარ ტესტი უნდა ჩააბარონ გაფრენამდე 120 საათის განმავლობაში და თითოეულზე მიიღონ უარყოფითი პასუხი.

„ყველა ტესტი აკრედიტებულ ლაბორატორიაში უნდა ჩატარდეს, მაგრამ გაფრენამდე 72 საათით ადრე აღებული ტესტი ჩინეთის ადგილობრივი საელჩოს ან საკონსულოს მიერ აღიარებულ ლაბორატორიაში უნდა გაკეთდეს,“ - ვიტყვობთ IOC-ის პრეს-სამსახურის განცხადებით.

სამართაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტი ტომას ბახი ზამთრის XXIV ოლიმპიური თამაშების დასაწყისში უკვე ჩავიდა და კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით, სამდღიანი კარანტინი გაიარა.

IOC-ის პრეზიდენტი ოფიციალურ ღონისძიებათა პროგრამაში 25 იანვრიდან ჩაება. პეკინის ზამთრის ოლიმპიური თამაშები სტარტს 4 თებერვალს აიღებს.



ფორუმი

მსხვერპლის, გაქვებას...

მკომტიკური აფრიკის ეროვნებათა თასის 33-ე გათამაშება, რომელსაც კამერუნი მასპინძლობს, თვალსაყვირით ფაქტებით განვხილავთ, მაგრამ ის, რაც მასპინძელთა და ტურნირის აღმონა კომპროსის კუნძულების გუნდის მერვედფინალში მოხდა, ბარე რამდენიმე მსგავს ფორუმს ეყოფა.

დავიწყოთ იმით, რომ შეხვედრამ 7 გულშემატკივრის სიცოცხლე შეინარა, რომლებიც თანამემამულეთა გასამხნე-

ვებლად 50-ათასიან სტადიონზე შელწევას ცდილობდნენ და წარმოქმნილ ჭყლეტას ემსხვერპლნენ.

არანაკლები სათავგადასავლო სცენარით განვითარდა თვით მატჩის მოვლენები. კერძოდ, სტუმრებს, მართალია განაცხადში 3 მეკარე ჰყავდათ, მაგრამ კორონავირუსისა თუ ტრავმების გამო პარტნიორთა დახმარება ერთმაც ვერ შეძლო და მათი ფუნქციის შესრულება ერთ-ერთ მცველს მოუწია. თითქოს პრობლემები აკლდათო, კუნძულები უკვე მე-7(!) წუთიდან წითელი ბარათის გამო მოედანზე ათნი დარჩნენ, მაგრამ ბოლომდე ღირსეულად იბრძოდეს და მხოლოდ 1:2 დამარცხდნენ.



კორტზე

21-ე ტიფულისკენ - მწვანე შუქი!

„ტშუი“ დაეცაო, სწორედ რომ რაფაელ ნადალზეა ნათქვამი ჯერ იყო და ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაშზე მუხლის ქრონიკულ ტრავმის გამო უარი განაცხადა როჯერ ფედერერმა, ხოლო მწვანე კონტინენტზე კოვიდრეგულაციების დარღვევით ჩასული და ორგანიზატორთა მიერ კორტზე გამონაკლისის წესით დაშვებული ნოვაკ ჯოკოვიჩი იქაურმა ემიგრაციის სამინისტრომ გამოაძევა ქვეყნიდან. მართალია, ტურნირის 9-გზის ტრიუმფატორმა სერბმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა ავსტრალიის მთავრობის წინააღმდეგ და მიყენებული მორალური და ფინანსური ზარალის გამო 6,5 მილიონს ითხოვს, მაგრამ ამით ესპანელის სარეკორდო - 21-ე სადიდსლემო ტიტულს არაფერი ემუქრება რეიტინგის მეორე რუსი ნომრის - დანიელ მედვედევის გარდა, რომელიც უპრობლემოდ მიიწვევს ფინალისკენ.

სანდრ ზვერევიო? ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი მერვედფინალშივე გამოეთიშა ბრძოლას და ფავორიტებს მწვანე შუქი აუთო გადაამყვებო რაუნდისკენ.

რაც შეეხება უშუალოდ მალიორკელ გრუნტის მეფეს, გუშინ პირველად შეხვდა შეუპოვარი წინააღმდეგობა კანადელი დენის შაპოვალოვის სახით, რომელიც 5 პარტიაში გატეხა - 3:2, არადა, სეტებში ლეგენდის 2:0 დანიანურების შემდეგ ძნელად თუ წარმოედგენდა ვინმე, რომ შემდგომში მოვლენები ასეთი დრამატული სცენარით განვითარდებოდა.

სამაგიეროდ, ცალი ფეხით გააღწია ქალთა ნახევარფინალში მსოფლიოს პირველმა მასპინძელმა ჩოგანმა ეშლი ბარტიმ, რომელმაც მწარე გაკვეთილი ჩაუტარა ამერიკელ ჯესიკა პეგულას - 6:2, 6:0.



